საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 0 15 00817478

27/08/2015

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
ელ. ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 20 აგვისტოს№276 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N800939; 21.08.15) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების, ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 აგვისტოს N776751 წერილით გამოგეგზავნათ მოთხოვნილი ინფორმაცია სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ ინფორმაცია 2013-2014 წლებში დაბეჭდილი სახელმძღვანელოებიდან რამდენი სახელმძღვანელოა 2015 – 2016 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებლად ვარგისი, არ არის მსგავსი ფორმით დამუშავებული და შესაბამისად, მოკლებული ვართ მისი მოწოდების შესაძლებლობას.

აგრეთვე, განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)
ნინო გაბრიელაშვილი